ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძველეს გული,,

17 -30 ოქტომბერი 2013 წელი №19 № 8053 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

შეხვედრები მოსახლეობასთან გვ2.

ქართული ცხენოსანი ხელოვნების თვალსაჩინო და ქართული ცხენის დღე გვ3-4.

მასწავლებელთა სერთაშორისო დღეს მიეძღვნა გვ2.

პაკარა სოფლის დიდი მილნევა გვ5.

სერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი გვ5.

“გმირნო მამულის მადიდნო”

ვფიქრობ ეს ეროვნული

ეროვნული



80 წელი თქვენს გვერდით
გამოინერეთ „ახალი განთიადი,,!

შეხვედრები მოსახლეობასთან

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი შეხვდა ქვემო ხანდაკის, კავთისხევის, თვალადის და გუდალეთის სოფლის მოსახლეობას. მოსახლეობასთან შეხვედრის მიზანი გაცნობითი ხასიათის, "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე პროექტების და მათი პრობლემების ადგილზე შესწავლა იყო.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" ქვემო ხანდაკისა და სოფელ მირიანის დამაკავშირებელი, მდინარე მტკვარზე გამავალი დაკიდული ხიდის საფეხმავლო სავალი ნაწილი აღდგა. ხიდის აღდგენამ, საშუალება მისცა მირიანის დასახლების მოსწავლეებს უპრობლემოდ იარონ სკოლაში, რაც სასწავლო პროცესის ხელშეწყობაა, ამისთვის მადლობა ყველას - განაცხადა სკოლის დირექტორმა ნინო სიმონიშვილმა. კავთისხევში, შუა უბანში გაიწმინდა სასმელი წყლის 600 ტონიანი რეზერვუარი, სოფელ თვალადში მიმდინარეობს სასმელი წყლის რეზერვუარის გაწმენდა და დაქლორვა, სოფელ ეზატში აღდგა და ლუქი დაედო სასმელი წყლის რეზერვუარს, სოფელ გუდალეთში დაგეგმილია /ე.წ. "აქვსენტიაანთ" უბანში/ 700 გრძივი მეტრი გზის მოხრეშვა.

ევი-თვალადი-ეზატის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია (მოასფალტება), კავთისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია და შუაუბნის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

- 2014 წლის ბიუჯეტში ბევრი თქვენი მოთხოვნა იქნება გათვალისწინებული, მათი განხორციელება პრიორიტეტულობის და ბიუჯეტის შემოსავლების მიხედვით მოხდება. აღნიშნულს "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გამოყოფილი თანხაც დაემატება. გადაწყვეტილება თქვენთვის პირველ რიგში მოსაგვარებელი პრობლემის გადასაჭრელად უნდა მიიღოთ - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრისას.

დალი კორკომაშვილი.

ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივით

მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

5 ოქტომბერს - მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა შპს "ჰარმონია"-ში ჩატარებული საზეიმო საღამო, რომელიც კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობის (საკრებულო) ინიციატივით გაიმართა.

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო, საპასუხისმგებლო და ღირსეული პროფესიაა. მას მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება. ჩვენ ამ ღონისძიებით გვინდა გამოვხატოთ უდიდესი პატივისცემა ჩვენი პედაგოგებისადმი - ასე მიესალმნენ ღონისძიების ორგანიზატორები მასწავლებლებს.

ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ მასწავლებლის პროფესია დაფასდეს, ჩვენმა მოსწავლეებმა კი საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ. ქვეყნის მომავალს სკოლაში ეყრება საფუძველი, ამიტომ მასწავლებლის როლი განუზომლად დიდია, ვულოცავ ყველა მასწავლებელს ამ დღეს, აღნიშნა თავის გამოსვლაში კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით ზანგურმა.

პროფესიული დღესასწაული, პედაგოგებს მიულოცა მუნიციპალიტეტის კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ალექსანდრე გზირიშვილმა. მან მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და აღნიშნა მათი უდიდესი წვლილი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ხათუნა თათანაშვილმა პედაგოგებს მიულოცა დღესასწაული და წარმატებები უსურვა მომავალი თაობის აღზრდაში.

საკუთარი ლექსით პედაგოგებს მიესალმა ქალაქის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ანა ბუხრაშვილი. საღამო გაალამაზეს: ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "დიდგორმა", სიმღერებით ხათუნა ხაჩიძემ, დუდანა ნიპარიშვილმა, სალომე მასიკაშვილმა, მედეა ბეჟიტაშვილმა, მიხო ქოსაშვილმა და სხვებმა. 10 პედაგოგს, კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობის სახელით საპატიო სიგელი და ყვავილების თაიგული გადაეცა.

საღამოს უძღვებოდნენ კასპის ახალგაზრდული თვითმმართველობის წევრები ნათია ილურიძე და ილია ბერიანიძე.

დალი კორკომაშვილი.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი გვნიავლი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს ჩვენ ტორო კროსვორდები, შემეცნებითი-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, ჩაჩავაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

,,ახალი გვნიავლი,, იძიებს ჩვენ ტერიტორიაზე ბუნებრივ რესურსებზე ინფორმაციას, ფოტო-მასალებს შეგვიძლია. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - დაგვიგზავნეთ თქვენი ჯვალი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ინფორმაცია და ჩახალოთ ფოტოები!

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის ფესტივალი და ქართული საომრის დღე

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია (პრეზიდენტი ირაკლი ქოქოსაძე) "შავფაროსნების" ინიციატივითა და ორგანიზებით ქალაქ თბილისში 29 სექტემბერს ჩატარდა ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული სადროშოების წარმომადგენლები, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავეები და მომღერლები, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ცხენებზე ამხედრებული ახალგაზრდები, სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი სამოსითა და საბრძოლო აღჭურვილობით დამშვენებული მოხალისეები... ფესტივალი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. სადღესასწაულო მსვლელობა, დილით ვარდების მოედნიდან დაიწყო რუსთაველის გამზირის გავლით, რიყის პარკში თავმოყრილ სტუმრებსა

და სანახაობის მოყვარულ უამრავ ადამიანს შეუერთდა.

... საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც რიყეზე გამართულ საფესტივალო აღლუმზე გამოჩნდნენ ჩოხოსნები და შავფაროსნები, მშვილდოსნები. მოეწყო ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელი წარმოდგენა და შეჯიბრი მშვილდოსნობაში, გაიმართა ბაზიერების შოუ, ჩატარდა მასტერკლასები საბრძოლო იარაღის გამოყენებაში, საინტერესო, სახალისო იყო ქართული თამაშობები...

რიყეზე, სპეციალურად კასპელთათვის გამოყოფილ ადგილზე განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. ფესტივალის ორგანიზატორები და მონაწილენი, უბრალოდ თბილისელი მაყურებლები მოიხიბლნენ მათ მიერ წარმოდგენილი თეატრალიზებული სანახაობით...

რიყეზე, საფესტივალოდ მოწყობილი "მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" მშვენება გახლდათ ქართველი მამულიშვილების გიორგი საკაძისა და გიორგი მაზნიაშვილის უშველებელი ბანერები, რომელზედაც აღბეჭდილია ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისტორიული ფოტო და კინო-დოკუმენტური მასალები.

ფესტივალზე მოსული დამთვალიერებლები, რომელთა შორის იყვნენ უცხოელი ტურისტები და სანახაობის მოყვარული ადამიანები, განსაკუთრებით კი, მოსწავლეები და ახალგაზრდები საათობით ჩერდებოდნენ ბანერებთან, ინტერესით ეცნობოდნენ სახელდახელო "მუზეუმში" გამოფენილ ისტორიულ ექსპონატებს და მოწონების, კმაყოფილების ნიშნად სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ...

– ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი წელს პირველად ჩატარდა საქართველოში, – საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, ... მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია, საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ამ

დასასრული მე-4 გვ.

ახალი მოსაცდელები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ ზემო ხანდაკში ორი, ხოლო სოფელ თელიანის დევნილთა ჩასახლებაში ერთი მგზავრთა ახალი მოსაცდელი აშენდა.

სოფელ ზემო ხანდაკში 650 ოჯახი ცხოვრობს, ხოლო დევნილთა ჩასახლებაში 54 ოჯახი. ტრანსპორტის მოსაცდელების არ არსებობის გამო მგზავრებს დისკომფორტი ექმნებოდათ, განსაკუთრებით უამინდობის პერიოდში. მოსახლეობამ მოსაცდელების აშენების გადაწყვეტილება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში გამოყოფილი თანხის მიზნობრივი გახარჯვის გადაწყვეტილების დროს სოფლის კრებაზე მიიღო. მოსაცდელების ასაშენებლად, რომლის სამუშაოებიც მშენებელმა საქმიანი ეზო "თაზო"-მ შეასრულა, ზემო ხანდაკში 12 000 ლარი, ხოლო დევნილთა ჩასახლებაში 6 140 ლარი დაიხარჯა. მოსაცდელები აგურით აშენდა, გადაიხურა ფერადი პლოფილინირებული თუნუქით და გაკეთდა ხის სკამი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2013 წელს კასპის მუნიციპალიტეტს სოფლის პრობლემების მოგვარებისათვის 950 847 ლარი გამოეყო, რომელიც 17 საკრებულოს 72 სოფელზე გადანაწილდა. სულ განხორციელდება სხვადასხვა სახის 107 პროექტი - სარწყავი არხების, გზების, სასმელი წყლის, სპორტული და კულტურული ობიექტების და სოფლებში არსებული სხვა პრობლემების, რაც მათ ნაწილობრივ მოგვარებას შეუწყობს ხელს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი.

ქართული ცხენოსანი ხელოვნების ფესტივალი და ქართული ცეკვის დღე

დასასრული

მასშტაბურ ღონისძიებაზე ღირსეულად, უფრო მეტიც, დამაჯერებლად წარსდგა კასპის რაიონი.

აღლუმში მონაწილეობდნენ კასპის რაიონის ყველა ფენის წარმომადგენლები, აქ იყვნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, ქართული საბრძოლო ხელოვნების მიმდევრები და მოყვარულები.

დღის ბოლოს რიყეზე გამართულ გალა კონცერტზე შთამბეჭდავად გამოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებასთან არსებული ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე) "მოურავის" მომღერლები. მათ მიერ შესრულებულმა საგუნდო სიმღერებმა ფესტივალის მონაწილეთა განსაკუთრებული მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ოვაციებითა და შეძახილებით ხვდებოდნენ ჩვენი ქორეოგრაფიული სტუდიების აღსაზრდელების გამოსვლებს. დიდხანს ისმოდა პატრიოტული და ფოლკლორული სიმღერები.

თბილისში გამართულ საბრძოლო ხელოვნების ფესტივალს ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მისი მოადგილე ზაზა მოსიაშვილი, კულტურის დაწესებულებებისა და მუზეუმების გაერთიანებების დირექტორები ქართლოს ხორგუაშვილი და გივი მელაძე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

ფესტივალის მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

"გმირნო მამულის მადიდნო"

ამ დღეებში კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) წრის წევრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალთან გამართეს ლიტერატურული წარმოდგენა სახელწოდებით: "გმირნო მამულის მადიდნო". ღონისძიება მიეძღვნა აფხაზეთში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

მემორიალთან შეკრებილმა მოსწავლეებმა ყვავილებითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბრძოლის ველზე დაღუპულ კასპელ მეომრებს. შემდეგ მხატვრულად წაიკითხეს პატრიოტულ თემაზე დაწერილი ქართველი პოეტების ლექსები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ (ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეები: სალომე ჯაბაური, თაკო ბერიძე, ჯორჯი ჯანვერდაშვილი, ლუკა ნოდარიშვილი, ლიკა გამხიტაშვილი, ქეთი ბერიაშვილი, მარი ბეჟიტაშვილი, მარი აბულაძე, ხატია მიქელაძე. თავი გამოიჩინეს აგრეთვე მოსწავლეთა სახლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის (ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი) წევრებმა დათო მაღლაფერიძემ, ქრისტინე ბუთხუზმა, სალომე ქობულაშვილმა, ნათია სოყურაშვილმა.

სანახაობრივი ლიტერატურული წარმოდგენა თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. მოწონებით, ოვაციებით ხვდებოდნენ მოსწავლეების შემოქმედებას მემორიალთან შემთხვევით მოხვედრილი "მაყურებლები".

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს მოსწავლეთა ძალებით გამართული წარმოდგენა.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

თეონა ოთიაშვილი /მეშვიდეკლასელი/

2012 წლის 24 ივნისს IV თანრიგის კვალიფიკაცია მიენიჭა და ტურნირის ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა. დღეისათვის თ. ოთიაშვილი "დიდების" მეორეთანრიგოსანთა შორის ასპარეზობს წარმატებულად (II თანრიგის 1 ბალი აქვს შესრულებული).

ნინო ფარსაღაშვილი /მეშვიდეკლასელი/

2013 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ტურნირში ვერცხლის მედლის მფლობელია.

შემდეგ – კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის გამართულ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მაქსიმალური 5 ქულიდან 5 ქულით აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

ეს ორი წარმატებული მოჭადრაკე მიუხედავად იმისა, რომ ნებადართულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო ტურნირში - "ნონა გაფრინდაშვილის თასზე" გარკვეული მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს (სამწუხაროდ ხან ასეც ხდება – არის სურვილი და არ არის შესაძლებლობა – ზოგჯერ პირადი, ზოგჯერ ეკონომიკური გაუმართაობით დიდ მიზანს შეიძლება ასცდე).

მარიამ ჯანანაშვილი და მარიამ ხმალაძე თბილისის 2013 წლის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის "მარათონში" ჩაერთვნენ.

მარიამ ხმალაძის /მერვეკლასელი/ წარმატებით განვლილი საჭადრაკო გზა ასეთია: 2010 წლიდან დაიწყო საჭადრაკო ხელოვნების შესწავლა ქვემო ხანდაკის საბაზო სკოლის ბაზაზე (მწვრთნელი გიორგი მამულაშვილი).

მარიამი შიდა სასკოლო ტურნირების უცვლელი ლიდერია. კასპში სხვადასხვა დროს ჩატარებულ ტურნირებში გამარჯვებული – მათ შორის გორის რეგიონის – საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში დაფაზე, ბრწყინვალედ იასპარეზა, I ადგილი დაიკავა და შესაბამისი დიპლომი გადაეცა. ტურნირის საორგანიზაციო ჯგუფმა და პრესამ მარიამ ხმალაძე ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარა.

პატარა სოფლის დიდი მიღწევა

მარიამ 2012 წლის 19 აპრილს V თანრიგის ნორმატივი ელვისებური სისწრაფით გადალახა. შემდგომში საუკეთესო შედეგით ჩააბარა IV საკვალიფიკაციო ნორმატივი, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, რის გამოც ნება დაერთო ეასპარეზა მესამეთანრიგოსანთა შორის.

მარიამ ჯანანაშვილმა და მისმა სიბეჯითემ სწორედ აქ იჩინა თავი, მან მესამე თანრიგზე გადასვლისთანავე ზედიზედ მიაღწია საპრიზო წარმატებებს. 2013 წლის აპრილის ბოლო ორ კვირაში მესამე თანრიგის პირველ ტურნირში II საპრიზო ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ხოლო მომდევნო ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ტურნირში საპრიზო ადგილი დაიკავა. მას გადაეცა ბრინჯაოს მედალი და მიენიჭა III თანრიგის საკვალიფიკაციო კატეგორია.

2012-2013 წწ. მარიამ ჯანანაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირების სამგზის პრიზიორი, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

დღეისათვის მარიამი დიდების მეორეთანრიგოსანთა შორის ასპარეზობს, რა თქმა უნდა, იყო წარმატების პირველი სხივი და აი, ახლა მზის ამობრწყინებისას, პატარა მარი დიდ საჭადრაკო აუდიტორიას გამოცდას აბარებს.

ქვემო ხანდაკის საბაზო სკოლის გუნდის რვა მოჭადრაკეს სხვადასხვა ტურნირებში მინიჭებული აქვს ჭადრაკის საკვალიფიკაციო კატეგორიები. 2012 წლის მაისიდან 2013 წლის სექტემბრამდე _ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ტურნირებში _ პირად პირველობებზე 11 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 4 ოქროს, 3 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს.

დღეისათვის ქვემო ხანდაკის გუნდში დიდების მეორე თანრიგზე მოასპარეზე ოთხი გამოკვეთილი ლიდერია, რომლებიც ,,ფიდეს,, მოქმედი წესების თანახმად ნებადართული არიან იასპარეზონ საერთაშორისო ასაკობრივ ტურნირებში.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ნონა გაფრინდაშვილის თასი, 2013 წლის 8-17 სექტემბერი, თბილისი, ჭადრაკის სასახლე, აქ მარიამ ხმალაძემ იასპარეზა ღია საერთაშორისო ტურნირში, ასაკის შეუზღუდავად (ამ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 300-ზე მეტი ყველა რანგისა და ტიტულის მოჭადრაკე მონაწილეობდა), ეს იყო დიდი კლასიკური საჭადრაკო სივრცე და მათ შორის ურეიტინგო მ. ხმალაძემ მაქსიმალური 9 ქულიდან 1 ქულა მოიპოვა. საჭადრაკო ლოგიკიდან გამომდინარე ეს სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგია.

მ. ხმალაძემ მწვრთნელთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება და მიზნად დაისახა გაუმჯობესოს საჭადრაკო-საწვრთნელი ვარჯიშების ხარისხი, როგორც პრაქტიკულ ისე თეორიულ ნაწილში და სამომავლო მიზანმიმართულ გეგმებს ადგენს საჭადრაკო ტურნირებში ასპარეზობისათვის.

მარიამ ჯანანაშვილი

მარიამ ჯანანაშვილი /მეხუთეკლასელი/ ქვემო ხანდაკის საბაზო სკოლის ჭადრაკის გუნდში ყველაზე უმცროსია. მარიამი ნიჭიერი აღსაზრდელია – ეს დაამტკიცა შრომით, თვალსაჩინო საქმით. ჯერ კიდევ 2012 წლის დასაწყისში ქვემო ხანდაკის საჭადრაკო გუნდის დაკომპლექტებისას – სკოლისათვის ძალზე მნიშვნელოვან ტურნირში, რომელიც 7 დღეს მიმდინარეობდა, 18 თამაშიდან 15 მოიგო და სკოლის ნაკრებ გუნდში ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის ადგილი დაიკავა.

მარიამ ჯანანაშვილის დადებითი თვისება ისაა, რომ სასწავლო პროცესში მორჩილია, საჭადრაკო წვრთნას ექვემდებარება და აქტიური, იმედის მომცემი "მებრძოლი" მოჭადრაკეა.

იგი მესამე წელია რაც ჭადრაკს ეზიარა და შემდგომ განვლილ პერიოდში თბილისში გამართულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირებში საკმაოდ წარმატებულად მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 19 აპრილს V თანრიგის ნორმატივი ელვისებური სისწრაფით გადალახა. შემდგომში საუკეთესო შედეგით ჩააბარა IV საკვალიფიკაციო ნორმატივი, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, რის გამოც ნება დაერთო ეასპარეზა მესამეთანრიგოსანთა შორის.

მარიამ ჯანანაშვილმა და მისმა სიბეჯითემ სწორედ აქ იჩინა თავი, მან მესამე თანრიგზე გადასვლისთანავე ზედიზედ მიაღწია საპრიზო წარმატებებს. 2013 წლის აპრილის ბოლო ორ კვირაში მესამე თანრიგის პირველ ტურნირში II საპრიზო ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ხოლო მომდევნო ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ტურნირში საპრიზო ადგილი დაიკავა. მას გადაეცა ბრინჯაოს მედალი და მიენიჭა III თანრიგის საკვალიფიკაციო კატეგორია.

2012-2013 წწ. მარიამ ჯანანაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირების სამგზის პრიზიორი, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

დღეისათვის მარიამი დიდების მეორეთანრიგოსანთა შორის ასპარეზობს, რა თქმა უნდა, იყო წარმატების პირველი სხივი და აი, ახლა მზის ამობრწყინებისას, პატარა მარი დიდ საჭადრაკო აუდიტორიას გამოცდას აბარებს.

აღსანიშნავია მარიამის აღმავლობა, როდესაც ჩააბარა IV თანრიგის საკვალიფიკაციო ნორმატივი და ამავე ტურნირის "ტიტულით" ოქროს მედალს დაეუფლა ...

შემდგომ ზედიზედ ორ საჭადრაკო ტურნირში იგივე ბრწყინვალე შედეგი გაიმეორა. ამჯერად მარიამ ხმალაძემ III თანრიგის საკვალიფიკაციო კატეგორია მიიღო და ამავე ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონის მკერდს ოქროს მედალი ამშვენებდა - ეს იყო პატარა სოფლის დიდი გამარჯვება.

2012 წლის ოქტომბერ-დეკემბრის "ტრიუმფატორი" მარიამ ხმალაძე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საკვალიფიკაციო ტურნირის ორგზის ჩემპიონია.

საერთოდ კი 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლის მფლობელია. იგი ამჟამად დიდების მეორეთანრიგოსანთა შორის ასპარეზობს ...

მარიამ ხმალაძეს მოხსენებულ წარმატებებზე უფრო დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საჭადრაკო სივრცე ელოდება...



მარიამ ხმალაძე

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში - ნონა გაფრინდაშვილის თასზე, 2013 წლის 8-17 სექტემბერს. თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მ. ჯანანაშვილმა იასპარეზა ასაკობრივ ჯგუფში და 4,5 ქულით იყოფდა VII-IX ადგილს და დაიკავა სათანადო კოეფიციენტის მიხედვით IX ადგილი.

მარიამ ჯანანაშვილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის (ასაკობრივ ჯგუფში) საუკეთესო ათეულის გუნდის წევრთა შორისაა. ეს არა მარტო სასიხარულოა, არამედ დიდი იმედის მომცემიცაა. ასე რომ იგი თუ სტაბილურად კარგ საჭადრაკო სპორტულ ფორმაში იქნება, მითუმეტეს წარმატებული შედეგით "ფიდეს" მოქმედი წესდების თანახმად სრულუფლებიანია იასპარეზოს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებში, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს "ასაკობრივ" ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

მ. ჯანანაშვილის მწვრთნელი გიორგი მამულაშვილი აღნიშნავს, - რომ ნიჭს შესწავლა და მიზანმიმართული წარმართვა სჭირდება. მე, როგორც მწვრთნელი, მარიამ ჯანანაშვილს მომავალ პერსპექტიულ აღსაზრდელად ვთვლი და ვუსურვებ: მიეცეს მის ნიჭს გასაქანი, ჭეშმარიტ საჭადრაკო სივრცეში დამკვიდრებისას!

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლა.

წინასაარჩევნო შეხვედრები

ნინო ბურჯანაძე – – პრეზიდენტობის კანდიდატი

წინასაარჩევნო პროგრამის ფარგლებში ნინო ბურჯანაძე კასპს ეწვია. შეხვედრა შპს "ჰარმონიის" წინ გაიმართა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა მოსახლეობასთან შეხვედრაზე ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების პერსპექტივაზე. შეხვედრის დასასრულს გაესაუბრა შეკრებილ ხალხს და მათ შეკითხვებსაც უპასუხა.

"ჩემი ბავშვობის სასახლე"...

მაზნიაშვილისეულ საბავშვო ბაღის კედლებში მრავალი თაობა აღიზარდა. დიახ, ქვეყნის საამაყო შვილმა, საქართველოს გენერალმა თავის მშობლიურ სასირეთში ცხრაასიან წლებში სკოლა გახსნა, მერე კი, მოგვიანებით, 1975 წელს, როდესაც სოფელში ახალი სკოლა აშენდა, ძველი შენობა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს დაეთმო...

ამ ისტორიულმა შენობამ ბევრ გამოწვევას გაუძლო, იქაურობა ბევრჯერ განახლდა, რა თქმა უნდა, ყველაფერს სჭირდება ხელისშევლება და დღეს სასირეთის საბავშვო ბაღს იმედიანად შეჰყურებენ აქაურები. მართალია, არცთუ ისეთი დიდი კონტინგენტია ბაღში, მაგრამ არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალი წლიდანაც კი შესამჩნევად გაიზრდება ბავშვების რაოდენობა, თუნდაც იმიტომ, რომ ახლა საბავშვო ბაღი უფასოა და ძალიან ბევრ ოჯახს საშუალება მიეცემა, რომელიც აქამდე არ ჰქონდა, რომ შვილები ბაღში ატაროს. ბოლოს და ბოლოს მოგვარდა კიდევ ერთი "მტკივნეული" საკითხი, ამიერიდან აღარ მოგვიწევს მშობლებთან იმის შეხსენება, რომ გადასახადი დროულად გადაიხადონ...

წელს ჩვენ მხოლოდ 25 აღსაზრდელი გვყავს, მომავალ წელს სასკოლო მერხებს მიუსხდებიან ჩვენი კურსდამთავრებულები: რევაზ ქოთიაშვილი, ელენე ბეჟიტაშვილი, ნიკა გასიშვილი, თორნიკე დვალიშვილი. მანამდე კი, ჩვენი ბაღის თანამშრომლები მშობლების დახმარებით და სოფლის აქტივის თანადგომით ყოველნაირად ვცდილობთ გაუმჯობესდეს სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი. ჩვენს ბაღში დადიან სამი სოფლის (სასირეთის, ბარნაბიანთკარის და თელიანის დევნილთა დასახლების) პატარები.

მშობლების, კეთილი ნების ადამიანების დახმარება არ აკლია ჩვენს ბაღს. სწორედ მათი მონდომებითა და ორგანიზებით შარშან შევიძინეთ (ინიციატორები: ალიკა და ბადრი ცომაშვილები) საჭირო ჭურჭელი, სათამაშოები, რომლითაც ახლაც ვსარგებლობთ. ერთი სიტყვით, სოფელი მხარში გვიდგას, აქაურები კმაყოფილები და გახარებულები არიან იმის გამო, რომ ჩვენმა აღსაზრდელებმა ძალიან გვასახელეს, მონაწილეობა მიიღეს კასპში გამართულ ფესტივალზე "და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი" – სადაც მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ელენე ბეჟიტაშვილი, ფესტივალის დიპლომანტის წოდება მიენიჭა ნანა ბეჟიტაშვილს, ჩვენმა აღსაზრდელებმა ლიზი მაისურაძემ და ნანა ბეჟიტაშვილმა მონაწილეობა მიიღეს კასპში გამართულ სილამაზის კონკურსშიც, ერთი სიტყვით, ჩვენი ბაღი აქტიურ, ინიციატივიან და ყოველმხრივ მომზადებულ კურსდამთავრებულებს აგზავნის სასირეთის საჯარო სკოლაში.

ქეთევან ჭაღიაშვილი,
სასირეთის საბავშვო ბაღის გამგე.



,,ახალი განთიადი,, იძლევა საინფორმაციო ტერიტორიებზე რეალური ნაბიჯებით ფოტო-მასალის შეგროვებლად.
თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - დასტოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში!
გამოგვიგზავნეთ საინფორმაციო და ცხელი ფოტოები!

ჯარაფენზე ბიძაშვილმა წაიყვანა...

პირველკლასელი, გაუბედავი, სიფრიფანა ბიჭუნა მშობლებს ჯერ არ ემეტებოდათ ამ სპორტისათვის, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი, მონდომებაც, რომ ცეკვაზე სიარული მიატოვა და ვარჯიშის, არათუ გაცდენა, დაგვიანებაც არ ახსოვს...

მესამე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ ბობა დალაქიშვილმა კარატეში ვარჯიში 1999 წელს დაიწყო. ახლა იგი ჩვენს ქალაქში და არა მხოლოდ კასპში, ცნობილი და წარმატებული კარატისტია. სულ ახლახან კი, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, სადაც ასპარეზობდნენ კადეტები, იუნიორები და 18-20 წლის სპორტსმენები, კასპელმა ბობა დალაქიშვილმა წარმატებით იასპარეზა (16-17 წლის, 68კგ. წონითი კატეგორიის ახალგაზრდებს შორის) და ჩემპიონატის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა...

მანამდე კი, ბობა დალაქიშვილმა არაერთხელ ასახელა მარტო ჩვენი რაიონი კი არა, საქართველოც. საქმე ის გახლავთ, რომ გასული წლის დეკემბერში იგი კარატისტთა მსოფლიო თასის მფლობელი გახდა.

–კარატისტთა კლუბი "ხვადი", რომელიც უკვე თოთხმეტი წელია ფუნქციონირებს კასპში, ბევრი მოზარდის "თავშესაფარი" და საყვარელი ადგილი გახდა, – აცხადებს საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის ინსტრუქტორი და კასპში არსებული კლუბის პრეზიდენტი, შავი ქამრისა და სამი დანის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი დავით დალაქიშვილი, – მართალია, რამდენჯერმე დადგა ჩვენი ყოფნა-არყოფნის პრობლემა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კლუბს არ გააჩნდა მუდმივი სავარჯიშო ადგილ-სამყოფელი და დამწყები კარატისტები სავარჯიშოდ ხან სად მიგვყავდა და ხან სად, მაგრამ როგორც ხედავთ უბინაობას გავუძელით და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი კლუბი ერთ-ერთი გამორჩეულია რესპუბლიკაში.

როგორც იქნა კლუბის წევრები საბოლოოდ დამკვიდრდნენ ერთ ადგილზე... მეორე საჯარო სკოლის გვერდით, იქ, სადაც უწინ საბავშვო ბაღი იყო პატარა ფირნიშია, რომელიც გვამცნობს, რომ კვირაში სამჯერ: ხუთშაბათს, შაბათს და კვირას გამბედავი, ვაჟკაცური სპორტის მოყვარული ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებიან. სასიხარულოა ისიც, რომ დღითიდღე იზრდება კლუბის წევრთა რაოდენობა.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

შეუცნობელი

ველოდებით გამოხმაურებას



ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი".

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ "ფენომენს" და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

გაცვეთილი წიგნი, რომელსაც კარგი სუნი ასდის ...

როცა შვიდი წლის ხარ და შენს მრავალსართულიან სახლში არავინაა ისეთი, ვისთანაც ითამაშებ, შეიძლება ძალიან რთული დღეები დაგიდგეს. შვედეთის ქალაქ სტოკჰოლმში პატარა ბიჭუნა სვანტე ხშირად მიდიოდა ფანჯარასთან და მოწყენილობისგან ამთქნარებდა ხოლმე. წარმოიდგინე, როგორ გაეხარდებოდა უცნაური ზუზუნის გაგონება, შემდეგ კი ჰაერში მოლივლივე საყვარელი კაცუნას დანახვა. იშვიათად თუ გადააწყდები ლოყებღაჟღაჟა კარლსონს, რომელსაც ზურგზე პროპელერი აქვს, ხოლო მუცელთან დიდი ღილაკი. თუმცა, შვედეთში გვარი კარლსონი ისეთი ხშირი ყოფილა, ხანდახან სტოკჰოლმელებს ჰგონიათ, ამ ქალაქში კარლსონების საგვარეულოს გარდა, არც ერთი დინასტია არ ცხოვრობსო. პროპელერიან კარლსონს, რომელიც სვანტემ დაინახა და შემდეგ დაუმეგობრდა, სრულიად გარკვევით უწერია თავის პატარა სახლის შესასვლელთან: "აქ ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე კარგი კარლსონი". ჰოდა, ამ კაცუნას სხვა უამრავი კარლსონისგან მხოლოდ ის არ გამოარჩევს, რომ იგი საუკეთესოა ამ საგვარეულოში. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ღილაკზე თითის ერთი დაჭერით მას შეუძლია ჰაერში აიჭრას და იმდენი იფრინოს, სანამ არ მობეზრდება. კიდევ, კარლსონი სახურავზე ბინადრობს, ციცქნა სახლში, წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ თავს დადებს იმ წარწერის შინაარსზე, რომელიც საცხოვრებელთან აქვს ჩამოკიდებული.

კარლსონი და ბიჭუნა საუკეთესო მეგობრები არიან. ეს კაცუნა ყველაზე მაგარი ამხანაგია თამაშების ამბავში. ბიჭუნას კიდევ სულ აინტერესებს, როგორ გაჩნდა კარლსონი ასეთი კარგი და განსაკუთრებული. თვითონ კარლსონი ამბობს, რომ დედამისი მუმიაა, მამამისი – საყვარელი გნომი. შეიძლება კარლსონმა დედისგან მიიღო მემკვიდრეობით საშიში მოჩვენებებისადმი თბილი დამოკიდებულება. კარლსონი ხშირად დაფრინავს მოჩვენებასავით, თეთრი ზეწარი აქვს გადაფარებული და დაბდურა მძარცველებს, ფილეს და რულეს, იგივე ფილიპს და რუდოლფს, შიშისგან სიკვდილის პირას მიიყვანს ხოლმე. ეს ბიჭები რომ ვერ მიხვდნენ, ნამდვილია თუ არა ეს მოჩვენება, კარლსონი თავისი პროპელერის ზუზუნს ახშობს. ისე კი მის მოწყობილობას შვეულმფრენის განმგმირავი ხმა აქვს.

არ იფიქროთ, რომ ბიჭუნა და კარლსონი მარტონი არიან მთელ სტოკჰოლმში და ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავთ. კარლსონს შეუძლია ყოველ ზაფხულს ეწვიოს საყვარელ ბებიას. აი, ბიჭუნას კი უფროსი და-ძმა, დედა, მამა და მოსამსახურე ქალი ახვევია გარშემო. სიმართლე რომ გითხრათ, სვანტე განებივრებული ბავშვია, უბრალოდ, ხშირად უწევს მარტო ყოფნა. კიდევ, ბიჭუნას მეგობრები ჰყავს – გუნილა და კრისტერი. სვანტე გუნილაზე გიჟდება, ამბობს, რომ გავიზრდები, ცოლად მოვიყვანო. გუნილას ძმა კრისტერი კიდევ ოდნავ ფიცხი ბიჭია; ეგ და სვანტე ხშირად ჩხუბობენ, მაგრამ მაშინვე რიგდებიან ხოლმე. ბიჭუნას ძმა, თხუთმეტი წლის ბოსე ძალიან ბეჯითი და წესიერი ადამიანია; ბევრს სწავლობს, მაგარი ტვინი აქვს. დაიკო ბეტანი კიდევ საშინლად პრანჭია გოგოა და სულ ბიჭებთან დადის პაემნებზე. წარმოიდგინე, ვიღაც ლამაზ ბიჭთან ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას კარლსონი ჩაუშლის. თუმცა, ბეტანი მაინც ვერ მიხვდება, რა ხდება. მას, ბოსეს და დედ-მამას საერთოდ არ სჯერათ, რომ პროპელერიანი, ყველაზე კარგი კარლსონი არსებობს. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც კარლსონის არსებობა დაიჯერა, სასტიკი ქალბატონი ფრეკენ ბოკია. იგი მათ სახლში მოსამსახურედ მუშაობს და პირველივე შეხვედრისას ბიჭუნამ ამ მკაცრ ქალს შინამტანჯველი შეარქვა. შინამტანჯველს რომ ჰკითხო, კარლსონი გაუზრდელი და მსუქანი ბავშვია. მოკლედ, ამ ქალს ძალიან უყვარს წესრიგი; ამიტომ, მას და კარლსონს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გაჩაღებული.

ალბათ, დაინტერესდი იმით, თუ როგორ გრძელდება ბიჭუნას და კარლსონის თავგადასავლები სამი წიგნის განმავლობაში. აუცილებლად სთხოვე დედიკოს ან მამიკოს ასტრიდ ლინდგრენის ეს წიგნი – "ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი". დაინახავ, როგორ გაეღიმებათ შენს მშობლებს და გაახსენდებათ საკუთარი თავი იმ ასაკში, როცა ამ ზღაპრულ ისტორიას კითხულობდნენ. მერე კი ამაყად გადმოგცემენ გაცვეთილ და კარგსუნიან წიგნს.

კეხურა.

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვეძებლობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გასაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) რომ გიამბონ.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა".

მაკნატუნა

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თანბიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა". რუბრიკის სტუმარია სასირეთის საბავშვო ბაღის გამგე ქეთევან ჯაღიაშვილი.

"პატარა ეკას ფერები ერთმანეთში ერეოდა. დედა ეკითხება ეკას:

– ეკა, პამიდორი რა ფერია?

– წითელი – პასუხობს ეკა.

ეკას წითელი კაბა ეცვა, ამიტომ დედა კვლავ ეკითხება:

– შენი კაბა რა ფერია?

– პამიდვრის ფერი – პასუხობს სწრაფად".

ეკა ედიშერაშვილი, 3 წლის.

"დილით ლევანს მამიდა ეკითხება:

– წუხელის რა ნახე სიზმარში?

– არაფერი, წუხელის სიზმრებს დასვენება ჰქონდათ – პასუხობს ლევანი".

ლევან თოფჩიშვილი

5 წლის.

"– ეს რა არის? – კითხულობს თიკო ბუს ფიტულზე, რომელიც მეზობლის კედელზე ეკიდა.

– ბუ არის. – უპასუხა მამიდამ.

სახლში დაბრუნებული თიკო დედას ეუბნება:

– დედა, იცი რუსიკო ბებოს ბუა ჰყავს".

"თიკოს ეკითხებიან: – თიკო, შენ ვისი შვილი ხარ, ვინ გაგზარდა?

– მე ძუძუმ გამზარდა – პასუხობს თიკო".

თიკო ჯაღიაშვილი – 4 წლის და 6 თვის.

"– მამიდა, მე ვინ გამაჩინა? – კითხულობს გიორგი.

– დედაშენმა – პასუხობს მამიდა.

– დედაჩემი ვინ გააჩინა?

– ნარგიზა ბებომ.

– არა, ნარგიზა ბებო ვერ გააჩენდა, ბებერია – ამბობს გიორგი".

გიორგი ჯაღიაშვილი 5 წლის.

"პატარა ნიკა არ ისვენებს, მამა ეუბნება:

– ნიკა, მოისვენე თორემ თაქანს გაჭმევ.

– თაქანი შენ ჭამე, მე არ მშია – პასუხობს ნიკა".

"მარიამს მეზობლის ქალი ეკითხება:

– მარი, აბა კიჭები მაჩვენე, ამოგვიდა?

– კი, ამომივიდა – აჩვენებს კბილებს – შენ რატომ არა გაქვს? – ჩაგვიდა? – ქალს რამდენიმე კბილი არა ჰქონდა".

მარიამ ჯაღიაშვილი

გამოგვეხმაურეთ!

ერთაწმინდა

წმინდა ევსთათის (ესტატე) სახელობის XIII საუკუნის პირველი ნახევრის ეს ჯვარგუმბათოვანი ტაძარი დგას ჯასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ერთაწმინდის ცენტრში.

ერთაწმინდა ,,ესტატე წმინდის,, შეცვლილი ფორმაა. XVII საუკუნის დასაწყისიდან ტაძარი თარხნიშვილთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. შემდგომში ის საჯაძეების საგვარეულო საძვალეც გახდა. აქ არის დაკრძალული გიორგი საჯაძის ვაჟი, მოწამებრივად დალუპული პაატა.

ხსოვნა

ცირა ჩიტიშვილი

ცირა, შვილო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო 15 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, 43 წლის გახდებოდი გენაცვალე...

ცირა, ჩვენო მუდმივო სადარდებელო ხუთი წელია, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძალიან ძნელია ჩვენთვის ამასთან შეგუება. მარტო შენ კი არა, შენი ერთადერთი საფიცარი შვილი, ალეკოც გვიკლავს გულს. დედა-შვილს დაგტირით და ვერ ვარჩევთ, რომელი უფრო მწარე ხართ ჩვენთვის.

ჩვენო ცირა, როგორღა ვანუგეშოთ გულდათუთქული დედაშენი, თვალს ვარიდებთ, ვცდილობთ ცრემლი არ შეგვამჩნიოს...

ცირა, შენს დაბადების დღეს უთქვენოდ აღვნიშნავთ. ვაი, რომ შენთვის ახლა, მხოლოდ ცრემლებია ჩვენი საჩუქარი, რომელიც შენს გულზეა დაყრილი და მიწას ასველებს, გვენატრები ცირა, გვაკლიხარ.

მშვიდად განისვენეთ მარადიულ სასუფეველში ჩვენო ძვირფასებო, სანთლებს დაგინთებთ, თქვენთვის ვილოცებთ!

დეიდები.

ჩვენ ბავშვებს

ვინ გააგრძელებს საქართველოს ისტორიას

"ახალი განთიადი" გთავაზობთ რუბრიკას ,,პატრიარქის ნათლულები,, ჩვენს მკითხველს გვინდა გავაცნოთ კასპის მუნიციპალიტეტში დაბადებული უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათლულები...

ნუციკო ქვრივიშვილი, დაიბადა 2012 წლის 12 თებერვალს, დედა ლელა მესროფაშვილი, მამა ზაზა ქვრივიშვილი.

ნიკოლოზ მაისურაძე, დაიბადა 2009 წლის 15 ივნისს, დედა ხათუნა ჩადუნელი, მამა ზაზა მაისურაძე.

მაშ ასე, ,,ახალი განთიადი,, აგრძელებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ჩვენებური ნათლულების გამოქვეყნებას. გამოგვეხმაურეთ!

თეიმურაზ ჭაღიაშვილი, დაიბადა 2011 წლის 2 სექტემბერს, დედა მარინა ბერიაშვილი, მამა ვახტანგ ჭაღიაშვილი.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, სამძიმარს უცხადებს ბიჭი გუჯაძეს მეუღლის
მაია გიორგაძის
გარდაცვალების გამო.

შპს ,,მარიმედი,, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
მაია გიორგაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის ავერსის სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მაია გიორგაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გენადი ხაჩიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბიჭი გუჯაძეს მეუღლის
მაია გიორგაძის
გარდაცვალების გამო.

გიგი თავშავაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბიჭი გუჯაძეს მეუღლის
მაია გიორგაძის
გარდაცვალების გამო.

კასპის სამუსიკო სკოლა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი პედაგოგი
მაია გიორგაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამუკა ბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბიჭი გუჯაძეს მეუღლის
მაია გიორგაძის
გარდაცვალების გამო.

გია, ეკა, თეონა დალაქიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მაია გიორგაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უშანგი, კობა, გოგიტა, ზაზა, იზა მოსიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მაია გიორგაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ჯასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. ექსკავატორის ოპერატორი /ტატეფილერი/.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის **22** ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. ჯასპი, ფარნავაზის ქ.№**2.**

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საპაკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76